ოქმი:**ო02. 3725325001**

თარიღი:**21/11/2025**

ოქმი № 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2025 წელი, 21 ნოემბერი

ქ.ოზურგეთი

12:00-13:00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით ჭაკნელიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ქ. კვაჭანტირაძე, ნ. გობრონიძე, ლ. კილაძე, ტ. აროშიძე, ნ. ჭანიშვილი, დ. კიკვაძე, მ. ცქვიტიშვილი, ზ. სალუქვაძე, გ. გაბისიანი, ე. გორდელაძე, ლ. ქვილორია.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

თანამომხსენებელი: გიორგი ჩაგანავა

კომისიის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს მიაწოდა მოკლე ინფორმაცია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტზე. აღნიშნა, რომ საკრებულოში 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი შემოტანილი იქნა საქართველოს ადგილობრივი თვითმართველობის და საბიუჯეტო კოდექსებით გათვალისწინებულ ვადებში, დადგენილი პროცედურების დაცვით, შემდეგ პროექტის გასაცნობად სიტყვა გადასცა თანამომხსენებელ გ. ჩაგანავას. თანამომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები. აღნიშნა 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი განსაზღვრულია 47407,0 ათასი ლარით, ანუ მიმდინარე წლის ბიუჯეტს აღემატება 4007,0 ათასი ლარით, რაც პროცენტულად შეადგენს 9,23%-ს. ზოგადი ინფორმაციის მიწოდების შემდეგ თანამომხსენებელმა გ. ჩაგანავამ კომისიის წევრებს მიაწოდა კონკრეტული ინფორმაცია ცალკეული პრიორიტეტებით გათვალისწინებული პროგრამების, ქვეპროგრამების დაფინანსებაზე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია კომისიის ფუნქციის შესაბამისი დარგებისა და პროგრამების დაფინანსებას, ინფორმაციის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. თანამომხსენებელმა გ. ჩაგანავამ უპასუხა დასმულ შეკითხვებს- პროექტის აღწერილობით ნაწილში შესრულებული და შესასრულებელი სამუშაოების

დაზუსტების და ლიხაურის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ექვთიმე თაყაიშვილის სახლ-მუზეუმის მიმდებარე ქუჩაზე წყალსადენის რეაბილიტაციის თაობაზე. პროექტის მიმართ კომისიის სხდომაზე დაფიქსირდა კონკრეტული შენიშვნები, კერძოდ: დასაზუსტებელი ბიუჯეტის პროექტის პრიორიტეტებით განსაზღვრული პროგრამების, ქვეპროგრამების განხორციელების ლოკაციები, პროექტი უფრო მეტად უნდა იყოს გამჭვირვალე, მისაღები და ადვილად გასაგები რიგითი მოქალაქეებისთვის.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიიღეს გადაწყვეტილება, არსებული კანონმდებლობის შესაბამისდ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი მუდმივმოქმედი კომისიების, ფრაქციების მიერ გამოთქმული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის პროექტი განხილვისას დაფიქსირებული შენიშვნების, წინადადებებისა და რეკომენდაციების გათვალისწინების მიზნით დაუბრუნდეს მუნიციპალიტეტის მერიას.

დავით ჭაკნელიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი